ხარაბუზა და ფუტკარი

ხარაბუზა ფუტკარს შეხვდა,
მიაძახა: ნგზა მომეო!
ვერ მიცანი, განა, ვინც ვარ?
როგორ გამეთამამეო?

ნთუ ვერ ატყობ თავს, ვინცა ხარ,
გამიგონე, რომ გითხრაო:
შენ რომ ფრთები გამოგბმია,
ღმერთიც მაშინ გაგიწყრაო!

ნბზუალასა, ტყუილასა,
შხამიანსა, მკბენარსაო,
ვინ არ გიცნობს უსაქმურსა,
მფრინავს მოუსვენარსაო?!

ნმე კი დარბაისლად მცნობენ,
შრომისა ვარ მოყვარეო...
ჩემთვისა ვარ არვისა ვკბენ,
არ ვარ შენი მოგვარეო!

ნქვეყნის თვალში მე სულ სხვა ვარ,
შენ სულ სხვა ხარ... ხომ ხედავო?
ჩამოდექი, გზა მომეცი!..
ურჩობას ნუ მიბედავო!ნ

ფუტკარმა ეს უპასუხა:
ნნუ მაცინებ, ხა-ხა-ხაო!
ვინც რომ ქვეყნად გაგაჩინა,
ნეხვის ჭიად დაგსახაო!

ნბევრს რომ შრომობ, ნუთუ ჰფიქრობ,
რომ მთა და ბარს ასწორებო?
მხოლოდ ფუნეს აგუნდავებ,
იქვე ახლო აგორებო.

ნის ხომ შენი საზრდო არის?
შენს მეტს არვის არგიაო!
შენ აკეთებ... შენვე ჰზიდავ...
საკუთარი ბარგიაო!

ნდარბაისლად იმუშავებ,
რაღად ირბენ, არა, შორსო?

ყოველ ფეხის გადადგმაზე
ნახავ, გინდა მთელ გოდორსო!

ნმე კი სხვა ვარ... სულ სხვა მუშა
და სხვაგვარად მოღვაწეო:
ზეცის მუშას მეძახიან,
არ ვარ მარტო სამიწეო!

ნმისთვის დავფრენ მოუისენრად,
რომ მოვძებნო ყვავილიო,
გულის წვენი ამოვწუწნო,
სამკურნალო რამ ტკბილიო.

ნშევუმზადო მით ქვეყანას
თაფლი, ზეცას დ სანთელიო,
რომ იქ წმინდად შეიწიროს
და ანათოს აქ ბნელიო.

ნვინც მე იმ დროს ხელს შემიშლის
ქვეყნის მტერიც ის არიო,
და მისთვის მაქვს მომართული
გესლიანი ისარიო!ნ

ეს უფხრა და ფრთა გაშალა,
მიაშურა ყვავილებსა...
და ჩვენც ამგვარ პასუხს ვკადრებთ
ზოგიერთ ჩვენ ყმაწვილებსა.

1884 წ.